ოქმი #7

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 21 მარტი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი

საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, ო. ჩაკვეტაძე, ნ. ბურჯალიანი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, გ. გოგებაშვილი, გ. ახვლედიანი, ნ. ტვილდიანი, გ. გურგუჩიანი, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: რ. ახვლედიანი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე

მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: გ. კვირიკაშვილი

სარაგბო კლუბის ხელმძღვანელი: გ. ფირცხალავა

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულებები:

1. ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურუდიული პირის -,,რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის - ამარანტები“ ერთობლივად დაფუძნების გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე ცაგერის მუნციციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   /ა. თუთისანი, გ. კვირიკაშვილი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების-სოფ. გაგულეჩში მდებარე 6327.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის(ს/კ 89.04.30.192) პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის“ გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   /ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვ. ცაგერში, სოფ. ორბელში, სოფ. გაგულეჩში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების განთავსების ადგილის გამოყოფის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი/

დღის წესრიგი

განკარგულებები:

1. ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურუდიული პირის -,,რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბის - ამარანტები“ ერთობლივად დაფუძნების გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე ცაგერის მუნციციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. კვირიკაშვილი/

სიტყვა ითხოვა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარემ ნინო ტვილდიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სპორტის განვითარების წინაარმდეგი არ არის, მაგრამ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ აქვს იმის ფუფუნება სპორტის ყველა სახეობას თავისი ა(ა)იპ-ი შევუქმნათ, როცა ა(ა)იპ-ი იქმნება თავისთავად საჭირო გახდება შტატების დამატება, რატომ არ შეიძლება სპორტის ა(ა)იპ-ში დაემატოს ეს მიმართულება.

ქალბატონ ნინო ტვილდიანს უპასუხა სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა რეზო ხეცურიანმა და რაგბის კლუბის ხელმძღვანელმა გელა ფირცხალავამ, რომ აღნიშნული ა(ა)იპ-ი იქმნება სამხარეო დონეზე, მის განვითარებას ხელს შეუწყობს რაგბის ფედერაცია, რაც შეეხება თანხებს, ოფისის ბუღალტერის და ყველა სხვა ხარჯიც ჩაჯდება იმ თანხაში, რომელიც წლის დასაწყისში იყო გამოყოფილი რაგბის კლუბისათვის, რაგბის კლუბი კი უკვე თითქმის ხუთი წელია ფუნქციონირებს და მომავალი თაობის განვითარებისთვის კეთილ საქმეს აკეთებს.

აზრი გამოთქვეს: ნ. ტვილდიანმა, გ. გურგუჩიანმა, რ. ხეცურიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების-სოფ. გაგულეჩში მდებარე 6327.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის(ს/კ 89.04.30.192) პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის“ გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

,,ლეჩხუმი მომავლისთვის“ ფრაქციის თავმჯდომარის გოგიტა ახვლედიანის აზრით ,,ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის“ ტერიტორიის გადაცემა, საქმიანი ეზოს მოწყობა და 2025 წლიდან ხე-ტყის დამზადება-დასაწყობება და ხე-ტყით მოსახლეობის ასეთი ფორმით მომარაგება პრობლემებს შეუქმნის ლეჩხუმის მოსახლეობას, ვისაც არ ჰქონდა საშუალება ეყიდა საშეშე მასალა თვითონ ამზადებდა, ამის საშუალება აღარ მიეცემათ.

სხდომის თავჯდომარემ ბატონმა რეზო ხეცურიანმა განმარტა, რომ ამ განკარგულების მიღებით მხოლოდ ტერიტორიას გადავცემთ. 2025 წლიდან კი ამ სერვისის ამოქმედება მოსახლეობისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება, რადგან უფრო ნაკლები თანხა ექნებთ საშეშე მერქნის შესაძენად გადასახდელი.

აზრი გამოთქვეს: ნ. ტვილდიანმა, გ. ახვლედიანმა, რ. ხეცურიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 17

წინააღმდეგი: 2

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვ. ცაგერში, სოფ. ორბელში, სოფ. გაგულეჩში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების განთავსების ადგილის გამოყოფის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

აზრი გამოთქვეს: გ. გოგებაშვილმა, ნ. საღინაძემ, რ. ხეცურიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 17

წინააღმდეგი: 2

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: რეზო ხეცურიანი